# ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი მექანიზმების გაუმჯობესება საბაზო-საშუალო საფეხურზე თბილისის N177 საჯარო სკოლაში

ლანა ზუზაძე, ნატალია ელუაშვილი, ანი შანიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე, განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ქეთევან თოდაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024 წელი

## განაცხადი

*„ წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად გამზადებულ ან დასაცავად წარსადგენ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

*ლანა ზუზაძე*

*ნატალია ელუაშვილი*

*ანი შანიძე*

*23.06.2024 წელი*

**აბსტრაქტი**

ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სააგენტოს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. საქართველოში ინკლუზიური განათლება მიმართულია ყველა მოსწავლისათვის თანაბრადხელმისაწვდომი და არასეგრეგირებული გარემოს შექმნისაკენ. მიუხედავად ამისა, ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული რიგი საკითხები სკოლებში დღემდე გამოწვევად რჩება. ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა კონკრეტული ერთი სკოლის პრაქტიკის კვლევა და სასკოლო საზოგადოებასთან ერთად მუშაობისა და თანამშრომლობის შედეგად არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება.

ჩვენი კლიენტი ორგანიზაცია სსიპ ქალაქ თბილისის N177 საჯარო სკოლა იყო. ამ უკანასკნელს ინკლუზიური განათლების პრაქტიკის დანერგვის საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანი გამოცდილება აქვს. პრაქტიკის კვლევის თავისებურებიდან გამომდინარე, ჩვენს მიზანს წარმოადგენდა, გაგვეუმჯობესებინა სკოლის არსებული მდგომარეობა ინკლუზიური განათლების მიმართულებით, რა თქმა უნდა, სასკოლო საზოგადოებასთან ერთად. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენი კვლევა რიგით მესამე პრაქტიკის კვლევაა ზემოთ ხსენებულ სკოლაში. ნაშრომის შედეგებსა და დიაგნოსტიკურ კვლევაზე დაყრდნობით, შევადგინეთ როგორც საკვლევი საკითხი, ისე საკვლევი კითხვები. გამოაშკარავდა თანამშრომლობის, მხარდაჭერისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაუმჯობესების საჭიროება საბაზო-საშუალო საფეხურზე.

სკოლასთან თანამშრომლობით, მათი იდეების გათვალისწინებითა და წინა ორი პრაქტიკის კვლევის გამოცდილების გათვალისწინებით, ჩავატარეთ ორი ინტერვენცია, ხოლო მესამე ინტერვენცია გავწერეთ გეგმის სახით, რომელსაც სკოლა განახორციელებს. ჩვენი ინტერვენციები შემდგენაირია: საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების მშობელთა ტრენინგი (მშობელთა მხარდაჭერისათვის), ყოვლისმომცველი რესურსის შექმნა (თანამშრომლობისა და მხარდაჭერის გასაძლიერებლად), სამუშაო შეხვედრების

სერიები: სხვადასხვა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა გამოწვევებთან გამკლავება ეფექტური თანამშრომლობით (მასწავლებელთა თანამშრომლობის გასაძლიერებლად).

საბოლოო ჯამში, ჩატარებული ინტერვენციები დადებითად შეფასდა და ასევე, სკოლამ მიიღო გარკვეული სახის რეკომენდაციები.

**საძიებო სიტყვები:**

ინკლუზიური განათლება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, სპეციალური მასწავლებელი, თანამშრომლობა, ანგარიშვალდებულება, მხარდაჭერა, ყოვლისმომცველი რესურსი, სამუშაო შეხვედრების გეგმა.

## Abstract

The development of inclusive education is one of the priorities of the Georgian Education Science and Youth Agency. Inclusive education in Georgia is aimed at creating an equally accessible and non-segregated environment for all students. Nevertheless, several issues related to inclusive education remain a challenge in schools. The purpose of our research was to investigate the practice of one specific school and to improve the current situation because of working and cooperating with the school community.

Our client organization was Public School N177 of Tbilisi City. The latter has quite a large and diverse experience of implementing inclusive education practices. Based on the peculiarities of practice research, our goal was to improve the current situation of the school in the direction of inclusive education, of course, together with the school community. It should also be noted that our study is the third practice study in the above-mentioned school. Based on the results of the paper and diagnostic research, we formulated both research questions and research questions. The need to improve cooperation, support and accountability mechanisms at the grassroots-secondary level was revealed.

In collaboration with the school, considering their ideas and the experience of the previous two practice studies, we implemented two interventions and wrote the third intervention in the form of a plan that the school will implement. Our interventions consist of parent training for elementary-secondary students (to support parents), creating a comprehensive resource (to strengthen cooperation and support), a series of workshops: dealing with the challenges of students with different special needs through effective collaboration (to strengthen teacher cooperation).

In the end, the conducted interventions were evaluated positively and also, the school received some kind of recommendations.

**Search words:**

inclusive education, student with special educational needs, special education teacher, collaboration, accountability, support, comprehensive resource, workshop plan.